## ანტრაქტის შემდეგ...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 9 ივლისი.

"დინამო" (თბილისი) – "ნეფთჩი" (ბაქო) 5:3 (0:0).

"დინამო": იმნაძე, ანდღულაძე (თავაძე), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია (ჯოხაძე), ცავა, შენგელია.

"ნეფთჩი": რასულოვი, აზიმოვი (ალექფეროვი), აბდულაევი, უზბეკოვი, ხუდიევი, მიხაილევსკი, ღარიბოვი (ალიევი), ნურმამედოვი, შიხლაროვი, ყურბანოვი, ახმედოვი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

მაყურებელი: 32.000.

თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ, რაც XII მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებით მოხდა, განახლდა ფეხბურთში 45-ე საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრები. თბილისის დინამოელებს ბაქოს "ნეფთჩისთან" მატჩი 23 მაისს უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ ვინაიდან იმ დღეებში თბილისელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავდათ მივლინებული ნაკრებში, კალენდარული თამაში გადაუვადეს.

ხანგრძლივი შესვენება საფეხბურთო გათამაშებაში, რაგინდ ინტენსიური წვრთნით იყოს იგი დატვირთული, მაინც საზიანოა, ვინაიდან ფეხბურთელები მოკლებული არიან სათამაშო პრაქტიკას და გარკვეული პერიოდია საჭირო, რომ გუნდმა მთლიანად აღიდგინოს საბრძოლო თვისებები.

დინამოელებმა კალენდარში შექმნილი "ფანჯარა" სრულად გამოიყენეს. გუნდი ვარჯიშობდა ზღვისპირეთზე, მართავდა საკონტროლო შეხვედრებს რესპუბლიკის გუნდებთან, საერთაშორისო მატჩებში შეხვდა თურქეთის ქალაქ ანტალიას "ანტალიასპორის" საკლუბო გუნდს და მაინც ბაქოელებთან მატჩში შეიმჩნეოდა შესვენების გავლენა.

მიუხედავად ამისა, დინამოელებმა, რომელთა რიგებში იყვნენ მსოფლიო პირველობის მონაწილენი – ჩივაძე, დარასელია, სულაქველიძე, შენგელია, შეხვედრის პირველივე წუთიდანვე შეუტიეს ბაქოელთა კარს და კარგა ხნით მიაჯაჭვეს მეტოქე თავის ნახევარს. მათ სრული უპირატესობა ჰქონდათ როგორც ტერიტორიული, ისე ტექნიკური თვალსაზრისითაც, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. ბაქოელები თავგამოდებით იცავდნენ უშუალოდ კარის მისადგომებს, თავიანთი კაპიტნის ხუდაევის ხელმძღვანელობით. თბილისელთა შორეული დარტყმები კი ან უზუსტო იყო, ან მეკარე რასულოვი ეუფლებოდა ბურთს.

შესვენების შემდეგ დინამოელები უფრო გააქტიურდნენ, ტემპსაც უმატეს. 54–ე წუთზე სვანაძე სახიფათოდ შეიჭრა "ნეფთჩის" საჯარიმოზე, მაგრამ იგი უხეშად წააქცია უზბეკოვმა. დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა შენგელიამ – 1:0. გოლმა მთლიანად შეცვალა თამაშის ქარგა – "ნეფთჩი" ყრუ დაცვიდან კონტრშეტევებზე გადადიოდა, რამაც მასპინძლებს ხელ–ფეხი გაუხსნა და მათს მძაფრ იერიშებს ზედიზედ მოჰყვა გოლები: სულ მოკლე დროში ანგარიში ოთხამდე გაიზარდა. ჯერ შენგელიას დროული პასით სვანაძემ მიაღწია მიზანს – 2:0, შემდეგ ცავამ ზედიზედ ორი გოლი გაიტანა.

68–ე წუთზე სტუმრებმა პენალტით (ღარიბოვი) შეამცირეს სხვაობა, შემდეგ დარასელიამ მეხუთე ბურთი გაგზავნა ბაქოელთა კარში, ბოლო 10 წუთის განმავლობაში კი დინამოელთა დაცვამ აშკარად მოადუნა სიფხიზლე და ალიევმა, რომელმაც ღარიბოვი შეცვალა, ორჯერ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან განეახლებინათ თამაში.

5:3 – ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს შეხვედრა ანტრაქტის შემდეგ.

**უ. ჭიჭინაძე.**
**"ლელო", 11 ივლისი, 1982 წ.**